ივანე თოფურიას ბინაზე ფონზე

287 1 907

287 1 907

ОРИГИНАЛ ... ФОНДОВОГО ХРАНЕНИЯ

დასკანირებულია 10
16 01 2025

13.

„ახალი კოლხეთი" 1973
23-I. № 10

● ბიბლიოგრაფია ●

# აკაკი თოფურიას ახალი წიგნი

**ქართული** ლიტერატურისმცოდნეობის საუნჯეს ახლახან შეემატა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **აკაკი თოფურიას** ახალი წიგნი **„ლიტერატურული წერილები"**, რომელიც გამოსცა „მერანმა" **ერემია ქარელიშვილის** რედაქტორობით.

საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდია მას შემდეგ, რაც აკ. თოფურია ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ლიტერატურული აზროვნების, კერძოდ კი კრიტიკის სფეროში, გაბედულად და ღრმა მეცნიერული თვალთახედვით იხილავს მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს, გონებამახვილური დასკვნები და მოსაზრებები გამოაქვს დასმულ საკითხებზე. წერის თავისებური სტილითა და მანერით ახერხებს ნათქვამი გასაგები გახადოს არა მარტო ინტელიგენციის, გათვითცნობიერებული მკითხველებისათვის, არამედ შედარებით დაბალ მკითხველებთანაც კი დაამყაროს სულიერი კავშირი, გაუღვივოს ლიტერატურისადმი ინტერესი.

ამის ნათელი დადასტურებაა მისი ყველა ადრინდელი წიგნი, ხოლო ეს წინამდებარე კრებული კვლავაც ავტორისეულ ჩარჩოშია მოქცეული და თავიდან ბოლომდე უაღრესად ცხოველი ინტერესით იკითხება. როგორც წიგნის მოკლე ანოტაციაშია აღნიშნული, „...**კრებულში ძირითადად შესულია ავტორის მიერ ბოლო ხანებში დაწერილი სტატიები, რომლებიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, მისი განვითარების დღევანდელ პროცესებს, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვის საკითხებს ეხება. წიგნში მოცემულია აგრეთვე ზოგიერთი ქართველი საბჭოთა პოეტისა და მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი**".

როგორც ვხედავთ ავტორის შემეცნებისა და განხილვის საგანი რთული პრობლემატიკაა, რომელიც დიდად განსაზღვრავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. მრავალფეროვანი ცხოვრების მართლად და ოსტატურად ასახვას, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების დამაჯერებლად ჩვენებას, პარტიული პოზიციებიდან მხატვრული აზროვნების ჩაყენებას კომუნიზმის მშენებელი ხალხის აღზრდის სამსახურში. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იძლევა სწორ თეორიულ-პრაქტიკულ კონცეპციებს, მკითხველს თავაზობს საინტერესო, მართებულ დასკვნებს, ცალკეულ შემთხვევებში ახლებურად შეცნობა-გაგების მაგალითებს.

მრავალმხრივ საყურადღებოა სტატია **„კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია"**, რომლითაც იხსნება ეს კრებული. ავტორი მიზნად ისახავს სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური პრინციპების სათუძველზე განიხილოს ქართული საბჭოთა ლიტერატურული ცხოვრების ბოლო პერიოდში შესამჩნევი ტენდენციები ე. წ. „უკონფლიქტობის" თეორიის დაძლევის გზაზე ძველი და ახალი თაობის მთელ რიგ მოწინავე მწერალთა დაინტერესება ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი უარყოფითი მოვლენებისადმი კრიტიკული, ნამდვილად მაღალი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების განზოგადება-გაფართოების საქმეში. განხილვის საგნად აღებული აქვს ო. ჩხეიძის „ჯებირი", ლ. მრელაშვილის „ყაბახი", ე. მაისურაძის „დაკარგული ოცნებები", ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა", გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი" და სხვათა ნაწარმოებები. ყველა ამ პროზაული ნაწარმოების იდეური, სიუჟეტური და პერსონაჟური გაანალიზების პარალელურად იგი თანმიმდევრულ განსჯას აძლევს მონათხრობ დეტალებს, პერსონაჟთა მოქმედებას და ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად მიიჩნევს მას, კონკრეტულად უთითებს, სად რა დააკლო მწერალმა თავის სათქმელს, სად დაჰკარგა ზომიერების გრძნობა, სად გადაუხვია სიუჟეტურ არქიტექტონიკას და მიზანდასახულებას.

სტატიის ეპილოგში, ბუნებრივია, საჭირო იყო და ავტორიც ასე მოიქცა, რომ მკითხველს ხაზგასმით მისცა განმარტება იმაზე, თუ როგორ უნდა წარმართოს მწერლობამ „... **თავისი შემოქმედებითი არსენალი ჩვენს ცხოვრებაში არსებული მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისათვის საბრძოლველად, მაგრამ ამასთან ერთად იზრდება მისი პასუხისმგებლობაც, მის მიმართ წაყენებული მომთხოვნელობაც, რათა დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მოვლენების გამოსახვის სისწორე და სიმართლე გამსჭვალული იყოს მწერლის ნათელი, მიზანდასახული პოზიციის, ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებისა და სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური მოთხოვნების სულისკვეთებით**" (გვ. 52-53, ხაზგასმები ავტორისაა).

**ასევე** პრობლემატურ საკითხს ეხება აკ. თოფურია თავის სტატიაში **„კრიტიკის მაღალიდეურობისა და პრინციპულობისათვის"**. როგორც ჩანს, ამ სტატიის დაწერა ავტორს შთააგონა ჟურნალ „ცისკრის" 1971 წ. მე-5 ნომერში გამოქვეყნებულმა გ. გვერდწითელის წერილმა „მეტი პრინციპულობა", რომელშიც იგი ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობის ერთგვარ დახასიათებას იძლევა. აკ. თოფურია არ ეთანხმება მთელ რიგ საკითხებში წერილის ავტორს, პირდაპირ მიუთითებს მის არასწორ შეხედულებასა და დამოკიდებულებაზე, აღნიშნავს, რომ **„იგი ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ობიექტურობას... ზემოთდასახელებულ წერილში გამოსჭვივის აგრეთვე ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის წინა და თანამედროვე პერიოდების ერთმანეთთან დაპირისპირებისა და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის ცდა...**" (გვ. 211-213) და სხვ.

ამავე სტატიაში ავტორი განიხილავს გ. ასათიანის გამოკვლევას „მერანი" და მისი ავტორი" და კვლავინდებური ზომიერი ტაქტით მიუთითებს იქ დასმული საკითხის გარკვევაში დაშვებულ ლაპსუსებს.

სტატიებში **„დიდი მხატვრული ტალანტი"** და **„კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამო"**, რომლებიც მ. ჯავახიშვილის რჩეულ თხზულებათა ექვსტომეულისა და კ. გამსახურდიას რვატომეულის გამოსვლასთან დაკავშირებით დაიწერა, აკ. თოფურია მაღალ შეფასებას აძლევს ამ ხაზით გაწეულ მუშაობას და ნათელს ფენს ქართული საბჭოთა პროზის ამ ორი დიდოსტატის შემოქმედებითს მაგისტრალურ ტენდენციებს, დიდი მწერლური ლაბორატორიის ნიშანდობლივ მხარეებს.

**შემოქმედებითი** პორტრეტის კვალს განეკუთვნება შესანიშნავად დაწერილი სტატიები **„ცოცხალი სახეების მწერალი"** (ეხება გ. ნატროშვილის პროზაულ ნაწარმოებებს), **„იოსებ ნონეშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი"**, **„ადრე შობილი სიმღერის ექო"** (**ეხება ხ. ბერულავას პოეზიას**), **„გრიგოლ ჩიქოვანის პროზა"**, **„ზღვის მწერალი"** (**ეხება ა. ლომიძის პროზაულ** ნაწარმოებებს).

ერთ კრებად სათაურში **„წიგნები და შთაბეჭდილებები"** ავტორი ცალცალკე განიხილავს აკადემიკოს **გ. ჯიბლაძის** ნაშრომს **„კრიტიკულ ეტიუდებს"**, ს. ჭილაიას **„მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის"** მეორე და მესამე წიგნს, **ბ. ჟღენტის** წიგნს „კონსტანტინე გამსახურდია", ე. მაღრაძის „გრიგოლ ორბელიანი", რ. ჯაფარიძის „აწონილი სიტყვა", ს. შანშიაშვილის რჩეულ თხზულებათა მეხუთე ტომს.

წიგნი მთავრდება სტატიით **„მე და ღამეს" გენეზისის საკითხისათვის"**.

ყველა ამ ზემოთმოყვანილ სტატიაში მისი ავტორი თეორიულ მსჯელობებს ორგანულად ურთავს და ამდიდრებს ცალკეულ მწერლებთან და პოეტებთან პირადი ურთიერთობით, შეძენილ შთაბეჭდილებებს, მხატვრულ ფერებში, რამდენადაც ამას კრიტიკული აზროვნების სფერო მოითხოვს, აცოცხლებს საინტერესო შეხვედრათა ეპიზოდებს. ამით წიგნი მეტი შთაგონების ძალას იძენს.

**საგაზეთო** წერილის მოცულობა საშუალებას გვართმევს უფრო სიღრმისეულად და დეტალურად გავემახვილებია ყურადღება აკ. თოფურიას ამ კრებულში წამოყენებულ საკითხებზე. მოგვეყვანა მთელი რიგი საინტერესო ადგილები და ციტირებანი ცალკეული სტატიებიდან, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც საგრძნობია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მისი გაცნობა-წაკითხვა. გვჯერა, რომ ჩვენს შეხედულებაზე დარჩება ყველა ის, ვინც მას წაიკითხავს.

**კარლო კომახიძე.**



მახაჩკალის სეპარატორთა ქარხნის ფართო მოხმარების საქონლის საამქრომ აითვისა კარაქის სადღვებელი, რომელზედაც დიდია მოსახლეობის მოთხოვნილება, ახალ კარაქის სადღვებელს ხარისხიანი კონსტრუქციისათვის მიეკუთვნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომი. ქარხანამ უკვე გამოუშვა 40 ათასზე მეტი მოწყობილობა.

**სურათზე:** **ფართო მოხმარების საამქროს ოსტატი ლ. იარახმედოვა ამოწმებს კარაქის სადღვებლის ხარისხს.**

ფოტო რ. დიკისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

# ჩვენს ქალაქს ემადლიერებიან

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, 1972 წლის ნოემბერში ჩვენს ქალაქში სტუმრად იყვნენ უზბეკეთის სსრ კომპოზიტორები, რომელთაც ახლდნენ ქართველი კოლეგები, საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის ა. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით.

ამასწინათ საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტმა მიიღო საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს მადლობა ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მუსიკალური სასწავლებლის, მუსიკალური სკოლის, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციებისადმი, რომლებმაც უზრუნველყვეს სტუმრების მაღალ დონეზე მიღება. „უზბეკეთის კულტურის მოღვაწეთა დღეები ქ. ფოთში,—აღნიშნულია სამადლობო მიმართვაში, — იყო სსრკ ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნათელი დემონსტრაცია.

# საპატიო სიგელი კორესპონდენტს

**გაზეთ „ახალი კოლხეთის" ლიტერატურული მუშაკი თ. ჭითანავა ერთი ათეული წელია აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში".**

**გაზეთის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით „ზარია ვოსტოკას" რედაქციამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა შტატგარეშე კორესპონდენტი. აღნიშნული ჯილდო თ. ჭითანავას გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის სახელით გადასცა ამ გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა ნ. ქინქლაძემ.**

საუბარი საერთაშორისო
თემაზე

# ახალმა სიომ დაბერა მეხუთე კონტინენტზე

**უკანასკნელ** **წლებში მსოფლიო პრესის ფურცლებზე არცთუ ისე ხშირად იბეჭდებოდა ცნობები შორეული მეხუთე კონტინენტიდან — ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან, საქმე ის არის, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით ორივე ეს ქვეყანა ნაკლებ საინტერესო იყო: ისინი სჯერდებოდნენ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ეგრეთწოდებულ უსახო „დომინიონების" როლს და კუდში მისჩანჩალებდნენ ამერიკის პოლიტიკას.**

**მაგრამ 1972-73 წლების მიჯნაზე მდგომარეობა ქვეყნად შეიცვალა. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის შესახებ ალაპარაკდა ევროპისა და აზიის, ამერიკისა და აფრიკის პრესა. შემთხვევითი არ არის ეს მოულოდნელი ინტერესი ორი სახელმწიფოსადმი, რომლებიც მრავალი ათასი კილომეტრით არიან დაშორებული პოლიტიკის მთავარ ცენტრებს. ეს ინტერესი იმით აიხსნება, რომ ბევრმა აღნიშნულმა სახელმწიფოებმა ჯეროვნად აღნიშნეს თავიანთი დამოკიდებულება ყველაზე მწვავე პრობლემებისადმი, რომლებიც დღეს კაცობრიობას დიდად აინტერესებს, და განაცხადეს, რომ აპირებენ დღეიდან ყველაზე აქტიური როლი შეასრულონ მსოფლიო საქმეებში. მაინც რა მოხდა?**

**გასული წლის დამლევს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართა პარლამენტების არჩევნები. ამ არჩევნებში გაიმარჯვეს ლეიბორისტთა წარმომადგენლებმა. აქამდე ახალ ზელანდიას ბევრი წლის მანძილზე მართავდა რეაქციული ეგრეთწოდებული „ეროვნული" პარტია, ხოლო ავსტრალიაში მთელი 28 წლის მანძილზე ხელისუფლების სათავეში იდგა ორი მემარჯვენე პოლიტიკური პარტიის ლიბერალური და აგრალური პარტიების კოალიცია.**

**ავსტრალიელებსა და ახალ ზელანდიელებს საკმაოდ ბევრი მიზეზი ჰქონდათ მემარჯვენე ძალების ხანგრძლივი დროით ბატონობის შედეგების გამო. ორივე ქვეყანაში მთავარი პოზიციები ეკონომიკაში ძალზე უცერემონიოდ ხელთ იგდეს უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის მონოპოლიებმა. მაგალითად, ავსტრალიაში ლიბერალთა და აგრალურთა მართვის წლების მანძილზე ქვეყნის ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალის წილი 19 პროცენტიდან 36,7 პროცენტამდე გაიზარდა. მონოპოლიებმა ფართოდ შეუტიეს მშრომელი მასების ცხოვრების დონეს. ორივე ქვეყანაში იზრდება სიძვირე, უმუშევრობა. ახალ ზელანდიაში მარტო გასულ წელს ფასები 10 პროცენტით გაიზარდა. ავსტრალიაში უმუშევართა არმიამ 100.000-ს მიაღწია.**

**ორივე ქვეყნის ახალმა მთავრობებმა დაიწყეს იმით, რომ გამოაცხადეს: საზღვარგარეთიდან მიღებულ ბრძანებებს მონურად აღარ დავემორჩილებითო. „ჩვენ აღარ ვიქნებით ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი, — თქვა ერთერთ თავის პირველ სიტყვაში ავსტრალიის პრემიერ მინისტრმა ჰ. უიტლენმა. ასეთივე გამოთქმას შეიცავდა ახალი ზელანდიის პრემიერ მინისტრის ნ. კირსის პირველი სამთავრობო განცხადება. მან თქვა, რომ აპირებს თავისი ქვეყანა გამოიყვანოს სიატოს აგრესიული სამხედრო ბლოკიდან, რომლიდანაც ამასწინათ პაკისტანი გამოვიდა.**

**ორივე ქვეყანამ დაგმო ამერიკის ინტერვენციის განგრძობა ვიეტნამში. ამასთან ჰ. უიტლენმა გასცა ბრძანება სამხრეთ ვიეტნამიდან გამოიყვანოს ავსტრალიის ჯარის უკანასკნელი ქვეგანაყოფები. მან განაცხადა: „ჩვენი მიზანია მივაღწიოთ ომის შეწყვეტას ვიეტნამში". აგრესორთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ავსტრალიის მთავრობამ აკრძალა ქვეყნის ნავსადგურებში ამერიკული ალამიანი გემების მომსახურება. ამ თვეში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთავრობები აპირებენ შეხვედრას, რათა დასახონ შემდგომი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მისაღწევად.**

**მსოფლიოს საზოგადოებრიობა ინტერესითა და სიმპათიით ადევნებს თვალს მეხუთე კონტინენტის ქვეყნების ინიციატივას, მოელის, რომ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დამოუკიდებელი პოლიტიკა დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.**

**ა. კრასიკოვი.**

**(საკდესი).**

# ს ა ი უ ბ ი ლ ე ო  კ ო ნ ც ე რ ტ ი





**სურათებზე:** კონკურსში გამარჯვებული მესამე და მეოთხე კურსების მოსწავლეები მარინა ცუხიშვილი (მარცხნივ. პედ. ნ. გაგუა) და რუსუდან ხორავა (პედ. რ. ჩაფიძე) ასრულებენ საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

ფოტოები **რ. ლვამიჩავასი.**

□ □ □

**ომკავშირის** საქალაქო კომიტეტისა და მუსიკალური სასწავლებლის ინიციატივით მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებელთა საქალაქო კონკურსი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს საფორტეპიანო, ვოკალის და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების მოსწავლეებმა.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა გამოსვლამ.

კონკურსში გაიმარჯვა მე-3 კურსის მოსწავლემ მარინა ცუხიშვილმა (პედ. ნ. გაგუას კლასი), რომელმაც შეასრულა ტექნიკურად საკმაოდ რთული ნაწარმოები — მაჭავარიანის „ხორუმი".

მე-2 ადგილი დაიკავა მე-4 კურსის მოსწავლემ რუსუდან ხორავამ (პედ. რ. ჩაფიძის კლასი). მსმენელებმა გულთბილად მიიღეს მისი შესრულებით შოსტაკოვიჩის მე-2 საფორტეპიანო კონცერტი. აღსანიშნავია, რომ მან კონკურსგარეშე შეასრულა საკუთარი ნაწარმოები.

მე-3 ადგილზე გამოვიდა მე-3 კურსის მოსწავლე ნატალია ნიკოლაევა, რომელმაც შეასრულა პროკოფიევის პრელუდია.

ვოკალისტებს შორის ადგილები არ განაწილებულა. მე-3 კურსის მოსწავლეებმა ბეჭვაიამ და ცუხიშვილმა მიიღეს წამახალისებელი ჯილდოები. საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებიდან პირველი ადგილი დაიკავა მე-4 კურსის მოსწავლეთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი მე-4 კურსის მოსწავლე მ. ტყებუჩავა). მოსწავლეთა ასეთი შემოქმედებითი შეჯიბრება ახალგაზრდა მუსიკოსთა აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

კონკურსმა ჩაიარა საზეიმო ვითარებაში და გამოავლინა ახალგაზრდა შემსრულებელთა შესაძლებლობანი.

**ციალა გაგუა,**
**პედაგოგი, ჟიურის წევრი.**

## ჩემი ქალაქი

ჩემი ქალაქი — ზურმუხტი,
კოლხეთის პატარა ხალი,
არის ტალღების შუალამის
სიზმარი
და ცისკრის ნაკვერცხალი.

ჩემი ქალაქი შავი ზღვის სუნთქვა,
მცველად ყავს კოლხელი დედა,
ფაზისის ნაპირებს როდესაც
მივყვები
მედეას ნაკვალევს ვხედავ.

და მისი ცრემლებით დანამულ
კიპარისს
სევდა რომ აწუხებს ძველი
ო, როგორ მინდა მივესათუთო,
წელზე მოვხვიო ხელი.

ჩემი ქალაქი — ზურმუხტი,
კოლხეთის პატარა ხალი
არის ტალღების შუალამის სიზმარი
და ცისკრის ნაკვერცხალი.

**ნუკრი მარგალიტაძე,**
**ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.**

ჩვენ გვწერენ

## ეს მცირე ხარჯებს მოითხოვს

გასულ წელს ლიბკნეხტის ქუჩაზე გაიყვანეს წყალსაწრეტი არხი. ეს კარგი საქმეა. მაგრამ ცუდი ის არის, რომ არხზე ბოგირები არ არის მოწყობილი, რაც უხერხულობას უქმნის ფეხით მოსიარულეებს.

ამ არხზე ბოგირების გამართვა დიდ ხარჯებს არ მოითხოვს და იმედი გვაქვს, რომ კეთილმოწყობის კომბინატი ამ საკითხს მოაგვარებს.

**ლ. მურადოვი,**
საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

**გ. პარკაია,**
მოსკოვის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

●

## სტუმრად სკოლაში

**ამ დღეებში რკინიგზის კლუბში თავი მოიყარეს ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთის № 16 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. შეკრებილთა წინაშე წარსდგა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ასკალონ მაგრაქველიძე.**

**დამსახურებულმა არტისტმა წაიკითხა მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია „მამულო ჩემო" და „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი".**

**ა. მაგრაქველიძის მიერ ოსტატურად შესრულებულმა მხატვრულმა კითხვამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მის მსმენელებში.**

**ტ. გვასალია.**

## დღეს კინოში

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრ „რუსთაველში" ნაჩვენები იქნება მხატვრული ფილმი „ჯენეირი".

სეანსების დასაწყისი 3, 5, 7 და 9 ს.

## ჩვენი გაზეთის მკითხველთა და კორესპონდენტთა ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ!

გაზეთ **„ახალი კოლხეთის"** რედაქცია აცნობებს მკითხველებსა და კორესპონდენტებს, რომ მათ მიერ რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში აუცილებელია აღინიშნოს **ავტორის გვარი, სახელი და მამის სახელი**, აგრეთვე მუშაობის ადგილი, თანამდებობა და მისამართი (საფოსტო ინდექსით).

## ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

**სამშაბათი, 23 იანვარი**

19.05 ბავშვებისათვის „ჯადოსნური საღებავი", 19.35 „სპორტული კვირეული", 20.20 „გეგმა, ზრდის ტემპი. ხარისხი — უპირველესი ამოცანა", 21.25 კონცერტი „მღერის „რუსთავი", 22.00 „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ), 22.30 საცირკო სანახაობა.

**რედაქტორი აკ. ჩიკარაძე.**

---

მეუღლე აგრაფინა, შვილები სერგო, ნუნუ, ხუნტური, ლამარა, ვახტანგ, კუკური, ომერი, სიძეები მიშა ჩხარტიშვილი, ზურაბ წიკლაური, რძლები ლენა, დუშა, რაია, ვერა, შვილიშვილები ჰამლეტი, მადონა, ვიოლეტა, იძედა, თაძაზ, მერაბ, დონარა, ლელა, ნანა, მაია, ლაურა. ლოლიტა, ჯულიეტა, შორენა, შალვა, შვილთაშვილი კაკო იუწყებიან **კაკო პავლეს-ძე კაკულიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 27 იანვარს, ქ. სოხუმში, გამოსვენება ზარეჩნაიას 17. 5 ს. პანაშვიდი 25-26 იანვარს 6 ს.

---

შვილები ბუტა, ლოლა, ჯიბო, რძლები დათიკო, დაზმირი, ლიანა, მერი, სიძეები ვ. ლომაია, ჯ. ჯიქია, ნ. სამინავა, გ. ძაძამია, შვილიშვილები დათიკო, დაზმირი, ლიანა, ზაური, მიმოზა, ჭინა, ბუბუ, ხათუნა, მარინა, ნინო, ირმა, დისწულები, ძმისწულები და ახლო ნათესავები იუწყებიან **პელაგია ანდრის ასულ ღურწკაია-გვასალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 27 იანვარს, ნაბადის სასაფლაოზე. გამოსვენება ძერჟინსკის 79 პანაშვიდი 25 იანვარს. 7 ს.

---

მეუღლე ანეტა, შვილი გუგული, ილიკო ჟვანია, შვილიშვილები თამაზი, ნანული, თამილა, სიძეები ზ. თავართქილაძე, მ. გუჯაბიძე, ძმები დემური, კაკო, ვალიკო, რძლები ნადია, თამარ, მარუსია, ლილი, მაია, თამარი, დები ნატაშა და ლუბა, ცოლისძმები მამულა, აპოლონ კუპრაძეები, ძმისშვილები გოგუცა, ნოდარ, მელორ, თენგიზ, გია დონდოლაძეები, დისშვილები რეზო, გაიოზ, ნოდარ ხელაძეები, თამაზ, მავლინა გუჯაბიძეები იუწყებიან **გრიშა ივანეს-ძე დონდოლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 23 იანვარს, **ნინოშვილის სა**საფლაოზე. გამოსვენება ბაიბიუსის 27.

---

ნ. ლაკია, გ. არჩაია, ვ. გუნია, გ. კუხალეიშვილი, ბ. ლაგვილავა, ს. გვასალია, დ. ბერაია იუწყებიან **შალვა ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სკოლის ამხანაგები ნ. რომანაშვილი, ვ. დავითაია, თ. ფოჩხუა, თ. ჯოჯუა, ნ. ჩიჩუა, ო. კემულარია, შ. სვანიძე, ი. ლოლუა, დ. ჯალაღანია, მ. პატარაია, ხ. ნიკურაძე, კ. როყვა, ვ. ბოკერია, თ. კიპურჭაძე, ლ. გვაზავა იუწყებიან **შალვა (კოკი) კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ფოთის ხორცკარაქთევზვაჭრობის ბაზის თანამშრომლები იუწყებიან დირექტორის **შალვა ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ლადაოა, ძიძა ძვილი ეეაიკით პატარაიები იუწყებიან **შალვა ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ირაკლი, ეფოოსიძე, კოკი, გული შვილებით ძარინე და მამუკა ძანწკავები იუწყებიან **შალვა ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

პირველი საშ. სკოლის 1964-65 სასწ. წლის კურსდამთავრებულნი, კლასის ხელმძღვანელი თ. დეისაძე და მშობლები იუწყებიან **მაკარ ბახბავას** გარდაცვალებას.

---

დავით, ვლადიმერ, ხოდარ, გეხური გიგაშვილები, ლინერი და რევაზ კუჭუხიძეები ოჯახებით იუწყებიან **შალვა (კოკი) ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ააააააგეოი ძალკა იოსიფე, ოჟიო აფხაზავა, პეტრე ჭალაგამიძე, ნინო გვასალია, ხორა გერგაია, ლენა კოდუა, ეთერ სიმონია, თამარ მიქავა, ანგისა გეგენავა, ლალი ცომაია, შურა ზერაგია, ლალი ზერაგია იუწყებიან **შოთა შენგელიას** გარდაცვალებას.

---

ლიდა და რაჟდენ შვილებით ვაჟა, ზაირა, ლარისა, რძლით ნუნუთი, ნოდიები, სიძეებით ჯუმბერ ქურდაძე, როლანდ დამენიათი შვილიშვილებით ჯამბული, მალხაზი და მანანათი იუწყებიან ახლო ნათესავის **შურა ბარამიას** გარდაცვალებას.

---

აგრაფინა, თამარა, დალი კანკავები, ბაბუცა კუჭავა შვილებით, ლენა და ჯუმბერ სიგუები შვილებით, არველოდ კანკავა ოჯახით იუწყებიან ბიძაშვილისა და ძმისშვილის **შურა დავითაია-ბარამიას** გარდაცვალებას.

---

თევზკომბინატის კოლექტივი იუწყება **ანტონ ჭოჭუას** გარდაცვალებას.

---

სამტრესტის ფოთის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ნოე ნადარაიას** გარდაცვალებას.

---

ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი აფხაზავას** გარდაცვალებას.

---

ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **კოკი კასრაძის** გარდაცვალებას.

---

დოდო და კაკო ცაადააეოი სკალკებით მანანა და მარინეთი, ნინო და ბორია შელიები შვილი მარინეთი იუწყებიან ახლო მეგობრის **კოკი კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ოოჯოიიკიიოს, აკაკის, ნკალოკის, შაუმიანის ქუჩების მცხოვრები ახლო მეზობლები იუწყებიან **შურა ფარნაოზის ასულ დავითაია-ბარამიას** გარდაცვალებას.

---

შურა, რიმა, მოგელი გაბეხაძეები, სულიკო, ავთო კაჭარავები, ლუიზა, გიგლა კირცხალიები, ნანი, მახი ტაბაღუები იუწყებიან ახლო ნათესავის **შურა ფარნას ასულ დავითაია-ბარამიას** გარდაცვალებას.

---

სიდედრი სონია, ცოლისძმა ალიოშა, რძალი გოგოლა ბაზიარები შვილებით ქეთინო და გოგით იუწყებიან **შალვა (კოკი) ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფოთის ს/სწ. ფაკულტეტის 411 და 411-ა ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან **კოკი კასრაძის** გარდაცვალებას.

---

მეზობლები ტ. ვ. მურვანიძეები, ბ. ჩხეტია, ვ. ჭ. იმნაძეები, ჭ. ბ. კარკაძეები, თ. შ. უძვერიძეები, მ. კ. იძხაძეები, ც. ნ. სალიები, ვ. კ. სიჭინავები, ქ. სიორიძე, ფ. ნ. სალიები, მ. ს. შურღაიები იუწყებიან **მაკარ ბახბავას** გარდაცვალებას.

---

ფოთის საფინანსო განყოფილებისა და სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან **კატო დგებუაძე-არჩაიას** გარდაცვალებას.

---

ძაოო კახიაოი, გოგოლი სულავა შვილებით ჯუმბერ, ლერი, კუკური და იზოლდათი, შვილიშვილი მარინათი იუწყებიან **ნოე ესტატეს-ძე ნადარაიას** გარდაცვალებას.

---

საქ. სთავაოგასიი № Ꮍ ტოე-ტის თანამშრომლები იუწყებიან **ივანე რემანოზის-ძე ჩაჩუას** გარდაცვალებას.

---

საქ. სთავაოგასიი № Ꮍ ტოე-ტის თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე (კატო) ესტატეს ასულ დგებუაძე-არჩაიას** გარდაცვალებას.

---

ფოთვაჭრობის აპარატის თანამშრომლები და პროფკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტი იუწყებიან **გიორგი აფხაზავას** გარდაცვალებას.

---

„საქხილბოსტანვაჭრობის" ფოთის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ (კოლია) ვარლამის-ძე კორძაძის** გარდაცვალებას.

---

ბიცოლა მარიკა, შურა, ლამზირა, სერგო, თემურ კასრაძეები, როინი, ნანა, ხათუნა მეგრელიშვილები, ვენერა, ვახტანგ, დათო ნავდარაშვილები იუწყებიან **კოკი ბიქტორის-ძე კასრაძის** გარდაცვალებას.

---

ქ. ფოთის პროკურატურის თანამშრომლები ა. ჩხატარაშვილი, თ. კიკნაძე, კ. სტეფანია, ლ. ქირია, კ. სამუშია, მ. ჭკადუა იუწყებიან **ვერა ლომაიას** გარდაცვალებას.

---

ქ. ფოთის ცენტრალური აფთიაქისა და მასში შემავალი ობიექტების თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ გოგიჩაიშვილის** გარდაცვალებას.

---

უახლოესი ამხანაგები ვ. ანჯაფარიძე, ა. კუცია, ა. წულაია, ვ. გრძელიშვილი, კ. ღვანია, ი. კოლუა, ვ. ქართველიშვილი, ა. ანთელავა, კ. მისაბიშვილი, ა. კოკაია, ვ. წიწილაშვილი, ნ. ფარღალავა იუწყებიან **კატო ესტატეს ასულ დგებუაძე არჩაიას** გარდაცვალებას.

---

უახლოესი ამხანაგები ს. ფაცურია, ბ. ბალათურია, ს. როყვა, ა. ჭყონია, ბ. ჭანტურია, თ. რიჟია, ე. თურქია, ნ. კახიანი, კ. ნარსია, გ. ჯიჯეიშვილი, ვ. კუკანია იუწყებიან **კატო ესტატეს ასულ დგებუაძე არჩაიას** გარდაცვალებას.

---

აკაკის, ნინოშვილისა და კოლხეთის ქუჩების მცხოვრები ახლო მეზობლები იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე აფხაზავას** გარდაცვალებას.

---

გახათლების განყოფილების № 6 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან **ნოე ნადარაიას** გარდაცვალებას.

---

რაჟდენ აბურჯანია შვილებით თინა, ნიკოლოზ და ივანე ოჯახებით იუწყებიან **შურა დავითაია-ბარამიას** გარდაცვალებას.


**ჩვენი მისამართი:** 884690, ფოთი, ტელმანის ქ. № 8, „ახალი კოლხეთის" რედაქცია, ტელეფონი ცნობებისათვის — 22-63.

ИНДЕКС 68523. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა, ფოთი, ტელმანის ქ. № 8. ტირაჟი 5.000